



გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯი

დამტკიცებულია:

სსიპ -ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის

კოლეჯის დირექტორის

ბრძანება N1/16

28.06.2019

ცვლილება შესულია

კოლეჯის დირექტორის ბრძანება N1/15

27.02.2023წ.

ცვლილება შესულია:

კოლეჯის დირექტორის ბრძანება 1/36

20.06.2024წ.

სსიპ-ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. აღნიშნული დებულება არეგულირებს პროფესიულ სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის გავლასთან დაკავშირებულ საკითხებს.
2. პროფესიულ სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკა, საგანმანათლებლო პროგრამის განუყოფელი ნაწილია, განისაზღვრება და მტკიცდება მასთან ერთად.
3. სასწავლო გეგმიდან გამომდინარე, საწარმოო პრაქტიკის ხანგრძლივობა განისაზღვრება შესაბამისი მოდულით. კოლეჯს პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული აქვს მემორანდუმები და ხელშეკრულებები ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.
4. პროფესიული სტუდენტის საწარმოო პრაქტიკისას მოსაპოვებელი კრედიტების რაოდენობა მითითებულია სასწავლო გეგმებში პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით.
5. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია აწარმოოს საწარმოო პრაქტიკის სრულფასოვანი აღრიცხვა.
6. როგორც გამონაკლისი, პროფესიულ სტუდენტს შეუძლია დამოუკიდებლად მოიძიოს პრაქტიკის გავლის ადგილი და წინასწარ აცნობოს ამის შესახებ სასწავლო პროცესის მენეჯერს.
7. იმ შემთხვევაში, თუ პროფესიული სტუდენტი დასაქმებულია საგანმანათლებლო დაწესებულებაში და აღნიშნული დაწესებულებიდან წარმოადგენს შესაბამის ცნობას,, გათავისუფლდება საწარმოო პრაქტიკის პრაქტიკული კომპონენტის გავლისაგან და მიენიჭება სტანდარტით გათვალისწინებული მოდულის კრედიტები.

მუხლი 2. პრაქტიკის მიზნები და ამოცანები

1. პროფესიული პრაქტიკის მიზანს წარმოადგენს:

- ა) მისცეს შესაძლებლობა პროფესიულ სტუდენტს რეალურ ცხოვრებაში გამოსცადოს სასწავლო გარემოში შეძენილი კომპეტენციები (ცოდნა და უნარები) კიდევ უფრო დახვეწოს და განავითაროს ისინი;

ბ) დაახლოვოს პროფესიული სტუდენტი თავისი სპეციალობის რეალურ გარემოსთან,

გ) პროფესიულ სტუდენტს დაანახოს კავშირები სასწავლო გარემოსა და პრაქტიკას შორის. თეორიული კომპონენტისა რეალურ სამყაროსთან/პრაქტიკასთან;

დ) პროფესიულმა სტუდენტმა შეძლოს სასწავლო პროცესში განვითარებული კომპეტენციების პრაქტიკაში გამოყენება, ახალი კომპეტენციებისა და სპეციფიკური უნარ-ჩვევების გამომუშავება;

ე) ხელი შეუწყოს პროფესიული სტუდენტებისა და დამსაქმებელთა დაკავშირებას, პრაქტიკანტთა შემდგომში შრომითი მოწყობის ხელშეწყობის მიზნით.

2. საწარმოო პრაქტიკის ამოცანები განსაზღვრულია კონკრეტული მოდულით.

3. პრაქტიკის ხელმძღვანელი ახორციელებს პრაქტიკის პროცესის მონიტორინგსა და შეფასებას.

მუხლი 3. საწარმოო პრაქტიკის ეტაპები

1. საწარმოო პრაქტიკის პროცესი ითვალისწინებს შემდეგ

ეტაპებს:

ა) მოსამზადებელი შეხვედრა;

ბ) პროფესიული სტუდენტის მიერ პრაქტიკის ხელმძღვანელის პრაქტიკის განხორციელებისა ან/და ჩასატარებელი შემოქმედებითი ღონისძიების გეგმის შედგენა;

გ) საწარმოო პრაქტიკის ადგილის გაცნობა;

დ) სამუშაო პროცესში ჩართვა და ყოველდღიური ჩანაწერების - პრაქტიკის დღიურის წარმოება;

ე) პროფესიული სტუდენტის კონსულტირება პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ;

ვ) საწარმოო პრაქტიკის შუალედური მიმოხილვა/შეფასება საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ;

ზ) საწარმოო პრაქტიკის ანგარიშის მომზადება;

თ) საწარმოო პრაქტიკის საბოლოო შეფასება.

მუხლი 4. კოლეჯში განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესი

1. კოლეჯი ვალდებულია საწარმოო პრაქტიკის განხორციელების პროცესში უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტი უსაფრთხო სასწავლო გარემოთი, ბუნებრივი და ხელოვნური ვენტილაციის, გათბობის გამართული სისტემებით, უწყვეტი ელექტრომომარაგებითა და ინტერნეტით, კომპიუტერული ტექნიკითა და მუსიკალური ინსტრუმენტებით.

2. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია კოლეჯში პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისას გაუფრთხილდეს კოლეჯის მატერიალურ რესურსს, მუსიკალურ ინსტრუმენტებს
3. კოლეჯში სასწავლო პროცესის უსაფრთხოდ წარმართვაზე კონტროლს ახორციელებს სასწავლო პროცესის მენეჯერი შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირთან ერთად.
4. საწარმოო პრაქტიკის განმახორციელებელ ობიექტზე სასწავლო პროცესის უსაფრთხოდ წარმართვაზე კონტროლს განახორციელებს საწარმოო პრაქტიკის ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესაბამისი პირი.